

**ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 167  
(გამარტივებული შესყიდვა)**

ქ. თბილისი

17.06.2022წელი

**1. ხელშეკრულების დამდები მხარეები**

ერთის მხრივ, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი თავმჯდომარის ილია დევიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „დელტა დეველოპმენტ გრუპი“, მისი დირექტორის გიორგი ყუფარაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების დადგენის წესის შესახებ“ 17.08.2015 წლის #13 ბრძანების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, გადაუდებელი აუცილებლობის დაცვით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

**2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები**

- 2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- 2.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 2.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 2.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 2.5. „მიმწოდებელი“ – პირი/ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

**3. ხელშეკრულების საგანი**

- 3.1 მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა (CPV -79530000; 79540000).
- 3.2 წინამდებარე ხელშეკრულებას ერთვის და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს:
  - 3.2.1. მომსახურების პრეისკურანტი
  - 3.2.2. ტექნიკური დავალება

**4. ხელშეკრულების ღირებულება**

- 4.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 20 000 (ოცი ათასი) ლარს.
- 4.2 პრეისკურანტის ჯამური ღირებულება შეადგენს 3217.00 (სამი ათას ორას ჩვიდმეტი) ლარს.
- 4.3 ფასები მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

**5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

- 5.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამმართველოს თანამშრომელი - ვლადიმერ სამხარაძე.
- 5.2. შემსყიდველი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

**6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

- 6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ შესაბამის ეტაპზე ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების შესაბამისად.
- 6.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამმართველოს თანამშრომელი - ვლადიმერ სამხარაძე.

## 7. მიწოდების ვადა და ადგილი

7.1 მომსახურების პერიოდი: მომსახურება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, მოთხოვნის შესაბამისად 2022 წლის 18 ივნისიდან - 2022 წლის 18 ივლისის ჩათვლით.

7.2 მომსახურება მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს საქართველოს საერთო სასამართლოებსა და სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტში, ტექნიკური დავალების შესაბამისად, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

## 8 ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - ლარში;

8.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო;

8.3 ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

8.4. დაფინანსების წყარო: 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი (100%).

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილება

9.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების 10%-ისა. ხელშეკრულების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3. ხელშეკრულება შეიძლება ასევე შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შეუსრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;

10.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით და სხვა გარემოებებით;

10.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

## 11. მხარეთა ურთიერთობა

11.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

11.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

11.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

11.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით;

## 12. ხელშეკრულებს პირობების შეუსრულებლობა

12.1. ფორს-მაჟორული გარემოებების გარდა, წერილობითი მომსახურების გაწევის ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, განსახორციელებული მომსახურების ღირებულების 1 %-ის ოდენობით. არაკვალიფიციური თარჯიმნის მიერ შესრულებულ თითოეული წერილობითი მომსახურების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2% ოდენობით.

12.2. თანმიმდევრული თარგმანის შეკვეთისას: არაკვალიფიციური თარჯიმნის გამოცხადების, თარჯიმნის გამოუცხადებლობის, რამაც გამოიწვია სასამართლო განხილვის გადადება, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების თითოეულ ჯერზე საერთო ღირებულების 0,2% ოდენობით.

12.3. სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის , ასევე სამჯერ ან მეტჯერ არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

12.4. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაგვიანებული თანხის 0,02%-ის ოდენობით.

12.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 14. დამატებითი პირობები

14.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის 14.1.1. პუნქტითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

14.1.1. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება შეწყდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს შემსყიდველს 20 000 (ოცი ათასი) ლარი, ხელშეკრულების შეწყვეტიდან ერთი თვის ვადაში;

14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 15. მხარეთა რეკვიზიტები:

### შემსყიდველი:

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან  
არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი  
მის: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
ს/კ 203860642

ილია დევიძე  
თავმჯდომარე

### მიმწოდებელი:

შპს „დელტა დეველოპმენტ გრუპი“  
იურ. მის: ქ.ქუთაისი, შოთა რუსთაველის გამზ.  
N61  
ფაქტ. მის: ქ. თბილისი. გორის ქ. 23  
ს/კ 412702446  
სს “თიბისი ბანკი“ TBCBGE22  
ა/ა: GE89TB7205936020100002

გიორგი ყუფარაძე  
დირექტორი

## ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტი: წერილობითი და თანმიმდევრული სათარჯიმნო მომსახურება

1. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მომსახურების ოპერატიული და შინაარსობრივი სიზუსტით განხორციელება, რათა საფრთხე არ შეექმნას მართლმსაჯულების სრულყოფილად განხორციელებას.
2. სათარჯიმნო მომსახურება უნდა განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრულ უცხო ენებზე (იხ.დანართი#1 მომსახურების პრეისკურანტი)
3. პრეისკურანტით განსაზღვრული თანმიმდევრული და წერილობითი სახის სათარჯიმნო მომსახურების რომელიმე ერთეულის არარსებობისას, აღნიშნული ერთეულის ფასი მისი შესყიდვის აუცილებლობისას, დადგინდება შემსყიდველი ორგანიზაციისა და მიმწოდებლის შეთანხმებით საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში პრეისკურანტში სათარჯიმნო მომსახურების რომელიმე ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს პრეისკურანტის საბოლოო ჯამური ღირებულების 10%-ს.
4. განხორციელებული თანმიმდევრული სახის სათარჯიმნო მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება სასამართლო პროცესის დანიშვნისათვის განსაზღვრული დროიდან ფაქტიურად დახარჯული (დასრულების) დროის მიხედვით, 1 სთ-ის ღირებულებიდან გამომდინარე წუთობრივი სიზუსტით, ხოლო წერილობითი სახის სათარჯიმნო მომსახურების ღირებულების ანაზღაურება - 1 გვერდის ღირებულების მიხედვით (არასრული გვერდის ღირებულების განსაზღვრა მოხდება ნათარგმნი მასალის გვერდის 1/4 -ის სიზუსტით დამრგვალების პრინციპით).
5. ნათარგმნი მასალა უნდა იყოს თავისუფლად კითხვადი, ხოლო თითოეული გვერდის ფართობი ყველა შესაძლო კომპონენტის მხრივ მაქსიმალურად რაციონალურად გამოყენებული, Font – Sylfaen, ზომა - არაუმეტეს 11, დაშორება გვერდის კიდიდან არაუმეტეს 2 სმ.
6. შემსყიდველის მიერ წერილობითი სახის სათარჯიმნო მომსახურების განხორციელებისათვის შესაბამისი მასალა მიმწოდებელს უნდა გადაეცეს წერილობითი იურიდიული დოკუმენტის სახით ,ხოლო თანმიმდევრული სახის სათარჯიმნო მომსახურების განხორციელებისას, უნდა შეექმნას შესაბამისი სამუშაო პირობები. (შემსყიდველი მიმწოდებელს თანმიმდევრული სათარჯიმნო მომსახურების გასაწევად საჭირო ინფორმაციას (დროსა და ადგილს) შეატყობინებს ელექტრონული ფოსტის ან/და სატელეფონო ზარის მეშვეობით, არანაკლებ 3 საათით ადრე. საჭიროების შემთხვევაში მთარგმნელობითი მომსახურება შესაძლებელია მოთხოვნილ იქნას დასვენებისა და უქმე დღეებში.
7. ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში მიმწოდებელმა პარალელურად უნდა აწარმოოს სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა და შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში მისთვის არაუგვიანეს 3 სამუშაო დღეში წარდგენა. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს: თარგმნად ენას, თარჯიმნის ვინაობას, მომსახურების გაწევის ადგილს, ხანგრძლივობას, სასამართლო საქმის მონაცემებს და სხვა.
8. მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას მთელი იმ ცნობებისა და ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომლებსაც შეიცავს შემსყიდველისგან მიღებული მასალები და ასევე თარჯიმნებთან გასაფორმებელ ხელშეკრულებებში მკაცრად განუსაზღვროს მათ მიმწოდებლთან გაწეული მომსახურების დროს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის კანონით დადგენილი წესით დაცვის ვალდებულება.
9. მიმწოდებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მის მიერ გაწეული მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაციის 30 დღეზე მეტად დაგვიანებით შემსყიდველისთვის წარმოდგენის შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას არ აანაზღაუროს აღნიშნული.
10. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი სასამართლოს მოთხოვნით, მიმწოდებელს უნდა შეეძლოს მომსახურების დისტანციურ რეჟიმში განხორციელება.

N	დასახელება	წერილობითი თარგმანი		თანმიმდევრული თარგმანი	
		განზომილების ერთეული	ფასი	განზომილების ერთეული	ფასი
1	რუსული	გვერდი	16	სთ	40.00
2	ინგლისური	გვერდი	16	სთ	45.00
3	გერმანული	გვერდი	16	სთ	45.00
4	ფრანგული	გვერდი	15	სთ	45.00
5	ესპანური	გვერდი	15	სთ	50.00
6	იტალიური	გვერდი	15	სთ	50.00
7	თურქული	გვერდი	15	სთ	50.00
8	სპარსული	გვერდი	15	სთ	50.00
9	არაბული	გვერდი	16	სთ	50.00
10	სომხური	გვერდი	12	სთ	40.00
11	აზერბაიჯანული	გვერდი	15	სთ	40.00
12	ჩინური	გვერდი	18	სთ	40.00
13	ოსური	გვერდი	12	სთ	40.00
14	პოლონური	გვერდი	16	სთ	40.00
15	ბერძნული	გვერდი	16	სთ	50.00
16	ქურთული	გვერდი	16	სთ	50.00
17	რუმინული	გვერდი	18	სთ	50.00
18	ესტონური	გვერდი	18	სთ	50.00
19	ივრითი	გვერდი	18	სთ	50.00
20	ჰინდი	გვერდი	20	სთ	50.00
21	ტამილური	გვერდი	20	სთ	50.00
22	უკრაინული	გვერდი	16	სთ	50.00
23	იაპონური	გვერდი	20	სთ	50.00
24	კორეული	გვერდი	20	სთ	50.00
25	ყაზახური	გვერდი	20	სთ	50.00
26	უზბეკური	გვერდი	20	სთ	50.00
27	ბულგარული	გვერდი	20	სთ	50.00
28	ლიტვური	გვერდი	20	სთ	50.00
29	არამეული	გვერდი	20	სთ	50.00
30	პორტუგალიური	გვერდი	20	სთ	50.00
31	ბენგალური	გვერდი	20	სთ	50.00
32	ჩეჩნური	გვერდი	18	სთ	50.00
33	სომალური	გვერდი	20	სთ	50.00
34	ჩეხური ენა	გვერდი	20	სთ	50.00
35	ურდუ	გვერდი	20	სთ	50.00
36	ნორვეგიული	გვერდი	20	სთ	50.00
37	შვედური	გვერდი	20	სთ	50.00
38	ლატვიური	გვერდი	20	სთ	50.00
39	პოლანდიური	გვერდი	20	სთ	50.00
40	უნგრული ენა	გვერდი	20	სთ	50.00
41	ტაილანდური ენა	გვერდი	20	სთ	70.00
42	ყირგიზული ენა	გვერდი	20	სთ	50.00
43	სლოვაკური ენა	გვერდი	20	სთ	50.00
44	კუმტუ	გვერდი	20	სთ	50.00
45	პანჯაბი	გვერდი	20	სთ	50.00
46	ბელორუსიული	გვერდი	20	სთ	50.00
47	ტაჯიკური ენა	გვერდი	20	სთ	50.00
48	ავარული	გვერდი	20	სთ	50.00